პროგრამის სახელწოდება: ცხოველთა დაავადებები და პირველადი ვეტერინარული დახმარება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მეოთხე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 13 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 სთ

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 325 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -6 **მაქსიმალური** -10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
ასაკი - მინიმუმ 18 წელი

პროგრამის მიზნები: პროფესიული მომზადების პროგრამა საშუალებას აძლევს პირებს შეიწავლონ კომპეტენციის ფარგლებში ცხოველთა ანატომიური აგებულება, ცხოველთა დაავადებების სახეები და მათი კლინიკური ნიშნები, ინფექციის კონტროლის საფუძვლები, საკარანტინო შეზღუდვები, ასევე, უზრუნველყოს პირველადი ვეტერინარული დახმარება და ჩაატაროს ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა ექსპრეს ტესტების გამოყენებით.

პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს, მიღებული ცოდნა-უნარებით ფერმერულ მეურნეობებში დასაქმება/კარიერულ წინსვლას, თვითდასაქმებას და/ან კონსულტაციების გაწევას საჭიროებისამებრ.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები:

1. ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები;
2. ცხოველთა დაავადების სახეები; მათი აღწერა და გამომწვევები;
3. ინფექციის კონტროლის საფუძვლები და საიზოლაციო/საკარანტინო ღონისძიებები;
4. პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარების ჩატარება;
5. ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა ექსპრეს ტესტების გამოყენებით.

პროგრამის მოკლე აღწერა: პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა და უნარები და იყოს დასაქმებული აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით. პროგრამის თეორიული კომპონენტის შესწავლა მოხდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიასა და სასწავლო ლაბორატორიაში (A გარემო) (I-X კვირა) და პარალელურად, IV – VII კვირებში მსმენელები პარტნიორი ორგანიზაციის (C_1 გარემო) ბაზაზე გაეცნობიან თემატიკის (მე-2 სწავლის შედეგი) შესაბამის თვალსაჩინო მასალას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი (მე-4 და მე-5 სწავლის შედეგი) ჩატარდება პარტნიორ ორგანიზაციაში (C_2 გარემო) (XI-XIII კვირა), მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 13 კვირას, სულ 325 სთ; კვირაში 25 სთ.

სწავლების მეთოდებია: ინტერაქტიული ლექცია, დისკუსია, კითხვა-პასუხი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკული მეცადინეობა.

ხოლო შეფასების მეთოდებია: ზეპირი და/ან წერილობითი გამოკითხვა და პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.